ანასტასია მაჭავარიანი

ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების
საბაკალავრო პროგრამა
კავკასიის ბიზნესის სკოლა
კორვინუსის უნივერსიტეტი, უნგრეთი

ადამიანის პიროვნული ზრდისთვის მნიშვნელოვანია, რომ მან უცხო გარემოში გამოსცადოს საკუთარი თავი. მე ყოველთვის მზად ვარ ცვლილებებისთვისა და სიახლეებისთვის, რადგან ამ გზით ვიღებ ღირებულ გამოცდილებას. გზად დაბრკოლებებსაც უნდა ველოდოთ, მაგრამ სწორედ ისინი გვაძლიერებს. საზღვარგარეთ სწავლისას კი იმდენი ახალი და სასიამოვნო რამ გვხვდება, რომ ეს ყველაფერი დაუვიწყარ მოგონებად იქცევა.

კავკასიის უნივერსიტეტის ბილატერალური პროგრამის ფარგლებში 2025 წლის გაზაფხულის სემესტრი ბუდაპეშტში, კორვინუსის უნივერსიტეტში გავატარე. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს პერიოდი გარდამტეხი იყო ჩემს ცხოვრებაში.

ძალიან მომეწონა ლექტორების განსხვავებული მიდგომა. ლექციები ყოველთვის იყო დინამიური, ინტერაქციული და თემატური აქტივობებით დატვირთული. ყოველივე ეს მაძლევდა საშუალებას თეორიული მასალა მალევე პრაქტიკაში გამომეყენებინა. ჯგუფური აქტივობების მეშვეობით მარტივად გავიცანი ახალი მეგობრები, მოვისმინე სხვადასხვა აზრი და შეხედულება მნიშვნელოვან საკითხებზე. სემესტრის განმავლობაში მომიწია კვლევებზე მუშაობა და პროექტების შესრულება, რამაც კიდევ უფრო გაამდიდრა ჩემი ცოდნა, ანალიტიკური აზროვნება და პროფესიული უნარები.

საღამოობით კი დუნაის ნაპირებზე სეირნობა და კულტურის მრავალფეროვნების აღმოჩენა ყოველდღიურ შთაგონებად იქცა. ქალაქის ისტორიული ატმოსფერო და თანამედროვეობასთან შერწყმული სტუდენტური ცხოვრება განსაკუთრებულ გარემის ქმნიდა, სადაც ყოველი დღე ახალი აღმოჩენებით იყო სავსე. სემესტრის განმავლობაში ბევრი სხვა ქვეყანა მოვინახულე, გავეცანი მათ ისტორიას, კულტურას და შევხვდი უამრავ საინტერესო პიროვნებას. თითოეული მომენტი ჩემთვის რეალური ინსპირაცია გახდა.

ცხოვრების ამ ეტაპზე ვისწავლე გაცილებით მეტი, ვდრე წარმოვიდგენდი. ვიპოვე საკუთარი თავი უხცო გარემოში და დავინახე პერსპექტივა ყოველ გამოწვევაში.